



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000061794728218

№ ს-152

31 / იანვარი / 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებული კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის #189 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. შეიქმნას მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებული კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- 1.1 კომისიის თავმჯდომარე - მერის მოადგილე მარინა ზურაბიშვილი;
- 1.2 თავმჯდომარის მოადგილე - მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თამაზ ფოლოდაშვილი;
- 1.3 კომისიის მდივანი: ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, იურიდიული განყოფილების მე-4 რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამუნა ვიკილაშვილი (მდივანი სარგებლობს წევრის სტატუსით და მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში).

1.4 წევრები:

- ა) ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ანა მამაგვიშვილი;
- ბ) სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ვლადიმერ ხუბაშვილი;

გ) სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ეთერ გელაშვილი;

დ) ეკონომიკის სამსახურის ქონების მართვის და აღრიცხვის განყოფილების მე-3 რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქეთევან ყამბეგაშვილი;

2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქუჩა №17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი



გიორგი კაპანაძე